მალხაზ მაცაბერიძე

საბჭოთა კავშირი: იდეოლოგია და პოლიტიკა

სალექციო კურსი

10.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემა 1930-იან წლებში



თბილისი

2018

შინაარსი

შესავალი 4

1.კომუნისტური პარტია, იდეოლოგია და პიროვნების კულტი..... 5

1.1.პარტიის როლი სახელმწიფოს ცხოვრებაში.....5
1.2.მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის როლი 6
1.3.ოფიციალური მასობრივი ორგანიზაციები.....7
1.4.სტალინის პიროვნების კულტის ფორმირება.....8

2.მასობრივი რეპრესიები 10

2.1.რეპრესიები 1920-იანი წლების ბოლოს და 1930-იანი წლების დასაწყისში 10
2.2. კიროვის მკვლელობა.....11
2.3. საჩვენებელი სასამართლო პროცესები 13
..... 15

3.“გამარჯვებული სოციალიზმის“ კონსტიტუცია..... 15

2.1.კონსტიტუციის მიღება 16
2.2.საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები.....17
2.3.მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა კიდევ უფრო შემცირება 18

2.4.კონსტიტუციის „სტალინური“ ნორმები 20

დანართი.....23

როგორ გამოიყენა კიროვის მკვლელობა სტალინმა
თავისი პოლიტიკური მიზნისთვის 23
ტროცკის მკვლელობა 26
დახვრეტილი ინტელიგენცია.....32
პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის დღე39

შესავალი

1920-იანი წლების ბოლოსთვის ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების პოლიტიკურმა წარმოდგენებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მასზე გავლენა მოახდინა ორმა უმნიშვნელოვანესმა იდეოლოგიურმა დებულებამ, რომელიც საბჭოთა კავშირის მოდერნიზებული ოფიციალური იდეოლოგიის საფუძველს შეადგენდა.

პირველი იყო დასკვნა სოციალიზმის და კომუნიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. „მსოფლიო რევოლუციის“ ადრინდელი იდეისგან განსხვავებით, ეს ახალი დასკვნა გულისხმობდა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახალი საზოგადოების მშენებლობა განხორციელდებოდა მტრულ იმპერიალისტურ გარემოცვაში;

მეორე დასკვნა გამომდინარეობდა პირველიდან და აცხადებდა, რომ სოციალიზმის იდეალებისაკენ წინსვლასთან ერთად კლასობრივი ბრძოლა ქვეყნის შიგნით სულ უფრო გაიზრდებოდა და გამწვავდებოდა.

ეს ორივე დებულება გულისხმობდა პრაქტიკულ პოლიტიკურ ნაბიჯებს:

- სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის ზრდა და მძლავრი არმიის შექმნა;

- ცენტრალიზმის და ბელადის - სტალინის ერთპიროვნული ხელისუფლების განმტკიცება;

- იდეოლოგიური აპარატის ფორმირება მასობრივი ცნობიერების დასამუშავებლად;

- მძლავრი რეპრესიული მანქანის შექმნა „ხალხის მტრების“ გამოსავლენად და მოსასპობად.

ეს ყველაფერი გახდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემოს განვითარების ძირითადი მიმართულებები.

საქმე მარტო იდეოლოგიურ სქემებში როდი იყო. პოლიტიკურ ელიტას მიაჩნდა, მოკლე ვადაში ინდუსტრიული საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლების შექმნა შესაძლებელი იყო საზოგადოების ყველა ძალის მაქსიმალური დაძაბვით და ქვეყნის ყველა რესურსის მობილიზებით. ეს კი შესაძლებლად მიაჩნდათ მკაცრი პოლიტიკური სისტემის ფორმირების შემთხვევაში.

1930-იან წლებში საბჭოთა საზოგადოების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები იყო:

- სახელმწიფო საკუთრების მონოპოლია;

• დირექტიული ცენტრალიზებული დაგეგმვა;
• ცხოვრების ყველს სფეროს გასახელმწიფოებრიობა;
• ხელისუფლების მკაცრი ვერტიკალი ქარიზმატული ლიდერით. პარტიულ-სახელმწიფოებრივი ელიტის დიქტატურა;
• რეპრესიები და არაეკონომიკური იძულება;
• საზოგადოებრივი აზრის მითოლოგიზება და დასავლეთის გამოცდილების უარყოფა;
• დახურული ქვეყანა. ავტარკიის მიღწევის ტენდენცია;
• მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერების მასობრივი დარღვევა.

საბჭოთა კავშირში „მობილიზაციური ტიპის“ პოლიტიკური სისტემის ფორმირებას საბჭოთა კავშირისთვის წინააღმდეგობრივი შედეგები ჰქონდა. ერთი მხრივ მოხერხდა იმ ინდუსტრიული ბაზის შექმნა, რომლის გარეშეც ვერ შეძლებდნენ გერმანიის სამხედრო მანქანის გამკლავებას. მეორე მხრივ პოლიტიკური სისტემის ამ მოდელის ფასი საზოგადოებისთვის საშინელი იყო: მასობრივი პოლიტიკური რეპრესიები, განსხვავებული აზრის დევნა, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა.

1.კომუნისტური პარტია, იდეოლოგია და პიროვნების კულტი

1.1.პარტიის როლი სახელმწიფოს ცხოვრებაში

საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ხელისუფლებას ფაქტობრივად ახორციელებდა კომუნისტური პარტია. პარტიული ორგანოები ნიშნავდნენ და ხსნიდნენ თანამდებობის პირებს ქვეყანაში, ასახელებდნენ საბჭოების დეპუტატთა კანდიდატებს. მხოლოდ საკ კპ(ბ) წევრებს ეკავათ ყველა საპასუხისმგებლო სახელმწიფო პოსტი, სათავეს ედგნენ არმიას, სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს, ხელმძღვანელობდნენ სახალხო მეურნეობას. ვერცერთ კანონს ვერ მიიღებდნენ პოლიტბიუროს მოწონების გარეშე. პოლიტბიურო განსაზღვრავდა საბჭოთა

სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. პარტიულმა სიმბოლიკამაც კი ოფიციალური სტატუსი შეიძინა - წითელი დროშა და პარტიული ჰომნი „ინტერნაციონალი“ გახდა სახელმწიფოს სიმბოლიკა.

საბჭოებს, რომელიც ლენინმა ხელისუფლების ორგანოებად გამოაცხადა, არასოდეს ჰქონიათ რეალური ხელისუფლება. საბჭოები ყოველთვის მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის მითითებებს ასრულებდნენ.

მკაცრად იერარქიული იყო თავად კომუნისტური პარტიის სტრუქტურა. ამის თაობაზე თავად სტალინი აღნიშნავდა: პარტიის შემადგენლობაში არის დაახლოებით 3 – 4 ათასი უმაღლესი ხელმძღვანელი. ესაა ჩვენი პარტიის გენერალიტეტი. შემდეგ მოდის 30-40 ათასი საშუალო რგოლის ხელმძღვანელი, ესაა ჩვენი პარტიის ოფიცრობა. შემდეგ მოდის დაახლოებით 100-150 ათასი პარტიის უმცროსი სამეთაურო შემადგენლობა.

რეალური ხელისუფლება ამ გასანმხედროებულ პარტიულ მექანიზმში ეკუთვნოდა „მარშლებს“ - პოლიტბიუროს წევრების პატარა ჯგუფს. მაგრამ ისინიც არ წყვეტდნენ ყველაფერს. საბოლოო გადაწყვეტილების უფლება მხოლოდ ერთ ადამიანს ეკუთვნოდა - სტალინს.

1930-იანი წლების ბოლოს საკ. კპ(ბ) საბოლოოდ დაკარგა დემოკრატიზმის ყოველგვარი ნაშთი. პარტიის რიგითი წევრები და ცენტრალური კომიტეტის წევრების უმრავლესობაც კი ჩამოცილებული იყო პარტიული პოლიტიკის შემუშავებას, რაც პოლიტბიუროს და პარტიული აპარატის საქმე გახდა.

ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის მოდელი გამომდინარეობდა ლენინიზმის იდეოლოგიიდან. რადგანაც თვლიდნენ, რომ მხოლოდ ბოლშევიკები გამოხატავენ მუშათა კლასის ინტერესებს და იციან, თუ რა საზოგადოება და როგორ უნდა აშენდეს, იგულისხმებოდა, რომ სხვა პარტიები შეიძლება გამოვიდნენ მხოლოდ დროებითი პოლიტიკური თანამგზავრების როლში. სოციალისტური საზოგადოება კი, რადგანაც სოციალურად ერთგვაროვანად წარმოდგებოდა, გამოდიოდა, რომ სახელმწიფოს „კვდომამდე“, რაც კომუნიზმის დროს მოხდებოდა, დარჩებოდა მხოლოდ ერთი პარტია - ბოლშევიკების.

1.2.მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის როლი

1930-იანი წლების შუა ხანებისთვის მარქსიზმ-ლენინიზმი იყო უკვე ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგია. ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს და გაანადგურეს ბოლშევიკების პოლიტიკური და იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების ნაშრომები. შიცვალა განათლების სისტემა. შეიცვალა სას-

Марксизм непримирим с национализмом, будь он самый "справедливый", "чистенький", тонкий и цивилизованный. Марксизм выдвигает на место всякого национализма — интернационализм.

В.И. Ленин

წავლო გეგმები და სასწავლო კურსების შინაარსი. მათ საფუძვლად ედო მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაცია არა მარტო საზოგადოებათმცოდნეობითი კურსებისა, არამედ საბუნებისმეტყველო საგნებისაც.

განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტროლი, რომელთა საშუალებითაც ხორციელდებოდა ოფიციალური შეხედულებების გავრცელება და მათი განმარტება. განსხვავებული იდეური შეხედულებების გავრცელება ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის გარედან შეუძლებელი გახდა.

იდეოლოგიურ კონტროლს ინტელიგენციის საქმიანობაზე პარტიულ ორგანოებთან ერთად ახორციელებდნენ შემოქმედებითი კავშირები. 1932 წელს საკ კპ(ბ) ცემტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“. გადაწყდა, რომ „ყველა მწერალი, რომელიც მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას“ გაერთიანდეს საბჭოთა მწერალთა ერთიან კავშირში და ასეთივე კავშირები შექმნილიყო ხელოვნების სხვა სახეებისთვისაც.

1934 წლის აგვისტოში ჩატარდა საბჭოთა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა. აირჩიეს გამგეობა მაქსიმ გორკით სათავეში. დაიწყო მუშაობა მხატვრების, კომპოზიტორების, კინემატოგრაფისტების, არქიტექტორების შემოქმედებითი კავშირები. მხარდაჭერის სანაცვლოდ ხელისუფლება გარკვეულ მატერიალურ კეთილდღეობას და პრივილეგიებს (შემოქმედებითი სახლები, სახელოსნოები, საცხოვრებელი და ა. შ.). პარტიული ხაზიდან „გადახრილებს“ რიცხავდნენ კავშირებიდან, ართმევდნენ მატერიალურ სარგებელს და გამოქვეყნების, გამოფენების მოწყობის შესაძლებლობას და ა.შ. მათ ან პირდაპირ სდევნიდნენ, ან საინფორმაციო ბლოკადაში აქცევდნენ. ბევრი მათგანი დააპატიმრეს და რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

1.3.ოფიციალური მასობრივი ორგანიზაციები

შემოქმედებითი კავშირების გარდა, სხვა ოფიციალურ მასობრივ ორგანიზაციებში გაერთიანებული იყო მოსახლეობის ყველა სხვა

კატეგორია. მასობრივი ორგანიზაცირბის როლი მდგომარეობდა პარტიული მითითებების ადაპტირებაში მოსახლეობის იმ კატეგორიისთვის, რომლებიც ამ ორგანიზაციებში იყო გაერთიანებული.

საწარმოთა თანამშრომლები გაერთიანებული იყვნენ პროფკავშირებში, რომლებიც პარტიული კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული.

ახალგაზრდები 14-წლის ასაკიდან გაერთიანებული იყვნენ ერთიან ორგანიზაციაში - ახალგაზრდობის საკავშირო ლენინურ კომუნისტურ კავშირში (ВЛКСМ), რომელიც პარტიის რეზერვად და თანაშემწედ ითვლებოდა. უმცროსი ასაკის მოსწავლეები თავიდან შედიოდნენ ოქტომბრელების, შემდეგ კი პიონერთა ორგანიზაციაში.

მასობრივი გაერთიანებები შეიქმნა რაციონალიზატორებისთვის, გამომგონებლებისთვის, ქალებისთვის, ფიზკულტურელებისთვის და ა.შ,

1.4.სტალინის პიროვნების კულტის ფორმირება

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთი ელემენტი გახდა სტალინის პიროვნების კულტი. 1929 წლის 21 დეკემბერს სტალინს შეუსრულდა 50 წელი. მანამდე მიღებული არ იყო საჯაროდ აღენიშნათ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა იუბილეები. ლენინის იუბილე ერთადერთი გამონაკლისი იყო. მაგრამ სტალინს გაზეთმა „პრავდამ“ მიუძღვნა სტატიები, მისალმებები, წერილები, დეპეშები, მლიქვნელური მასალების ნაკადი. ეს ინიციატივა აიტაცეს სხვა გაზეთებმა, დაწყებული საკავშიროდან და დამთავრებული რაიონული და საქარხნო გაზეთებით. სტალინის იუბილეს აღნიშნავდა რადიო და კინო.

სტალინს უწოდებდნენ დიდს, ბრძენს, ოქტომბრის გენიალურ ორგანიზატორს, წითელი არმიის შემქმნელს, გამოჩენილ სარდალს, ლენინური „გენერალური ხაზის“ დამცველს, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, ხუთწლედის დიდ სტრატეგს, „საბჭოთა ბავშვების საუკეთესო მეგობარს“. ყველას გადააჭარბა ყაზახმა სახალხო პოეტმა ჯამბულმა, რომელიც იმავე „პრავდაში“ ამბობდა: „ სტალინი - ოკეანეზე ღრმაა, ჰიმალაეზე მაღალია, მზეზე კაშკაშაა. ის სამყაროს მასწავლებელია“.

პიროვნების კულტი - ერთი ადამიანის ისტორიული როლის განდიდება

სტალინს უწოდებდნენ:

- ოქტომბრის გენერალური ორგანიზატორი;
- წითელი არმიის შემქმნელი;
- გამოჩენილი მხედარმთავარი;
- მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი;
- „ხალხების მამა“;
- ხუთწლედის დიდი სტრატეგი:
- „საბჭოთა ბავშვების საუკეთესო მეგობარი“

პიროვნების კულტის ფორმირების მიზეზები:

- ტოტალიტარული სისტემის ფუნქციონირების იდეოლოგიური უზრუნველყოფის მოთხოვნილება;
- მასების კულტურის დაბალი დონე, რომელთაც დააჯერეს ბელადის სიდიადე და უშეცდომობა;
- სტალინის პირადი თვისებები.

2.მასობრივი რეპრესიები

იდეოლოგიურ დაწესებულებებთან ერთად სტალინის რეჟიმს ჰქონდა სხვა საიმედო დასაყრდენიც - სადამსჯელო ორგანოების სისტემა.

2.1.რეპრესიები 1920-იანი წლების ბოლოს და 1930-იანი წლების დასაწყისში

1930-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა უკანასკნელი პოლიტიკური პროცესები ბოლშევიკების ძველი ოპონენტების წინააღმდეგ - ყოფილ მენშევიკებსა და ესერებზე. თითქმის ყველა ისინი დახვრიტეს ან გააგზავნეს ციხეებსა და ბანაკებში.

1920-იანი წლების ბოლოს შახტინის საქმე ნიშანი აღმოჩნდა „მავნებლების“ წინააღმდეგ ბრძოლის გასაშლელად სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის წინააღმდეგ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

1930-იანი წლების დასაწყისში გაიშალა მასობრივი რეპრესიული კამპანია კულაკებისა და საშუალო გლეხების წინააღმდეგ.

1932 წლის 7 აგვისტოს მიიღეს სტალინის მიერ დაწერილი კანონი „საწარმოების, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციის საკუთრების დაცვის და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების დაცვის შესახებ“, რომელიც ისტორიაში შევიდა „ხუთი თავთავის შესახებ“ კანონის სახე-

ლით, რომლის მიხედვითაც სულ უმნიშვნელო დატაცებაზეც კი დახვრეტა იყო გათვალისწინებული.

1934 წლის ნოემბრიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისართან შეიქმნა განსაკუთრებული სათათბირო. მას უფლება მიეცა ადმინისტრაციული წესით, მოწმეთა, პროკურორებისა და ადვოკატების მონაწილეობის გარეშე „ხალხის მტრები“ გაეგზავნათ გადასახლებაში ან შრომით-გამოსასწორებელ ბანაკებში ვადით ხუთ წლამდე.

1930-იანი წლების საჩვენებელი პროცესები:
• 1928 წელი - შახტინსკის საქმე • 1930 წელი - „პრომპარტიის“ საქმე, ჩაიანოვ-კონდრატიევის ჯგუფი, უკრაინის გამოხსნის კავშირის, „აკადემიკოსების“ • 1931 წელი - „მენშევიკების საკავშირო ბიუროს“ • 1935 წელი - მოსკოვის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის

2.2. კიროვის მკვლელობა

კიროვის მკვლელობა საბაბი გახდა სტალინის ყველა მოქმედი და სავარაუდო მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, რომლებიც შეიძლება მტრისთვის „მეხუთე კოლონის“ როლი შეესრულებინა.[1]

კიროვი 1926 წლის იანვრიდან სიკვდილამდე ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და სტალინის ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული მომხრე. 1930 წელს გახდა პოლიტბიუროს წევრი. პარტიის XVII ყრილობის წინ კიროვი ლენინგრადში გამოვიდა მოხსენებით „სტალინი - მუშათა კლასის გამარჯვებების დიდი ორგანიზატორი“.

[1] გამოთქმა „მეხუთე კოლონა“ დამკვიდრდა 1936 წელს ფრანკოს გენერლის ე. მოლოს რადიოთი გამოსვლის შემდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ მადრიდს ოთხ კოლონად შეუტევდნენ, მაგრამ ყველაზე მთავარი იყო მეხუთე კოლონა, თავად მადრიდში შექმნილი, რომელიც მზად იყო ზურგში დაერტყა რესპუბლიკელებისთვის.

პარტიის XVII ყრილობაზე (1934 წლის 26 იანვარი - 10 თებერვალი), რომელიც ცნობილია „გამარჯვებულთა ყრილობის“ სახელით. სადაც სოციალიზმის მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებზე იყო საუბარი, დელეგატების ნაწილმა დააყენა პარტიის გენერალური მდივნის პოსტიდან სტალინის გადაყენების საკითხი. ეს საკითხი განიხილებოდა არაფორმალურად, მის შემცვლელ სავარაუდო კანდიდატად კი ყველაზე ხშირად ს. კიროვი სახელდებოდა. ცნობილია მაგალითად, რომ 8 დეპუტატმა ის თავიანთ შეხვედრაზე მიიწვია და შესთავაზა საკუთარი კანდიდატურა ოფიციალურად წამოეყენებინა გენერალური მდივნის პოსტზე. კიროვმა არა მარტო უარი თქვა ამ შეთავაზებაზე, არამედ ამის შესახებ სტალინსაც უთხრა. ახალი გენერალური მდივნის ძიებას კი ტრაგიკული შედეგები მოჰყვა.

კიროვის მკვლელობის ნამდვილი მიზეზი პოლიტიკასთან არ იყო დაკავშირებული და თავიდანვე იყო ცნობილი გამოძიებისა და პარტიის ხელმძღვანელობისათვის. კიროვს ინტიმური კავშირი ჰქონდა გათხოვილ ქალებთან და კერძოდ, მკვლელის ცოლთან. მკვლელი ლ. ნიკოლაევი ყოფილი პარტიული მუშაკი იყო და კიდევ ფსიქიკასთან ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდა.

ამის თქმა ხალხისთვის უხერხული იყო და არც სტალინის ინტერესებში შედიოდა. გაცილებით მომგებიანი იყო კიროვის მკვლელობის გამოყენება პოლიტიკური მიზნებით და არსებულ თუ პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშსწორებისთვის.

ამ ტრაგიკული მოვლენიდან რამდენიმე საათის შემდეგ მიიღეს კანონი, რომლითაც შემოიღეს ტერორისტული აქტებისა და ორგანიზაციების საქმეების განხილვის „გამარტივებული წესი“. ამიერიდან გამოძიება დაჩქარებული წესით უნდა წარმართულიყო წარმართულიყო და მუშაობა დამთავრებულიყო ათი დღის განმავლობაში. საბრალმდებლო დასკვნა ბრალდებულს წარედგინებოდა სასამართლოში განხილვამდე ერთი დღით ადრე. საქმეს განიხილავდნენ პროკურორისა და დამცველის მონაწილეობის გარეშე. შეწყალების თხოვნა აკრძალული იყო. დახვრეტის განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ გამოცხადებისთანავე.

საბჭოთა კავშირში ოფიციალური გახდა თეზისი, რომ „ხალხის მტრებმა“ შეაღწიეს ყველგან - ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში, წითელი არმიის ხელმძღვანელობაში. საბჭოთა კავშირი ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრე იყო

მთავრობის 1935 წლის 7 აპრილის დადგენილებით არასრულწლოვანები 12 წლიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ექვემდება-

რებოდნენ და შეიძლება დაეხვრიტათ კიდეც, თუკი ბრალი ედებოდა ქურდობაში, სხეულის დაზიანებაში, მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაში. შემდეგ ამ კანონს იყენებდნენ ცრუ ჩვენებების მისაღებად - დაკავებულებს ემუქრებოდნენ, რომ ანგარიშს გაუსწორებდნენ მათ შვილებსაც.

2.3. საჩვენებელი სასამართლო პროცესები

სტალინმა იპოვა საბაბი და შექმნა „სამართლებრივი საფუძველი“, რის შემდეგაც შეუდგა რეჟიმით უკმაყოფილოთა ფიზიკურ განადგურებას. 1936 წელს შედგა პირველი პროცესი მოსკოვის დიდი პროცესებიდან, სადაც ასამართლებდნენ შიდაპარტიული ოპოზიციის ლიდერებს. განსასჯელის სკამზე აღმოჩნდნენ ლენინის უახლოესი თანამებრძოლები - ზინოვიევი, კამენევი და სხვები. მათ ბრალი ედებოდათ კიროვის მკვლელობაში, სტალინისა და მისი უახლოესი გარემოცვის მკვლელობის მცდელობაში და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მცდელობაში. პროკურორმა ა. ვიშინსკიმ განაცხადა: „მოვითხოვ გაცოფებული ძაღლების დახვრეტას - ყველასი ერთად!“. სასამართლომ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა.

1937 წელს გაიმართა კიდევ ერთი პროცესი. გაასამართლეს „ლენინური გვარდიის“ კიდევ ერთი ჯგუფი. იმავე წელს რეპრესიები თავს დაატყდათ მაღალი რანგის ოფიცრებს მარშალ ტუხაჩევსკით სათავეში.

1938 წლის მარტში ჩატარდა მოსკოვის მესამე პროცესი.. დახვრიტეს მთავრობის ყოფილი მეთაური რიკოვი და „პარტიის საყვარელი ადამიანი“ ბუხარინი.

ყოველ ასეთ პროცესს მოსდევდა რეპრესიების ტალღა, რომლის მსხვერპლიც ათობით ათასი ადამიანი ხდებოდა - მსჯარდებულთა ნათესავები და ნაცნობები, მათი მეზობლები და თანამშრომლები.

მაშინ შეიქმნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საიდუმლო განყოფილება, რომლის ამოცანაც იყო საზღვარგარეთ მყოფი ხელისუფლების პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ფიზიკურად გასანადგურებლად. 1940 წლის აგვისტოში სტალინის ბრძანებით მექსიკაში მოკლეს ტროცკი. სტალინის რეჟიმის მსხვერპლი გახდნენ თეთრი მოძრაობის, მონარქისტული ემიგრაციის წარმომადგენლები.

ციხეებში არ კმაროდა თავისუფალი ადგილები. შეიქმნა საკონცენტრაციო ბანაკების ფართო ქსელი.

ოფიციალური მონაცემებით, 1930-1953 წლებში კონტრრევოლუციური, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ბრალდებით რეპრესირებული იყო 3,8 მლნ ადამიანი, მათგან 786 ათასი დახვრიტეს.

რეპრესიები წითელი არმიის ოფიცერთა შემადგენლობაში

წოდება	საერთო რა-ოდენობა	რეპრესი-რებული იყო
საბჭოთა კავშირის მარშლები	5	3
I რანგის კომანდარმები	5	3
II რანგის კომანდარმები	10	10
კორპუსების მეთაურები	57	50
დივიზიის მეთაურები	186	154
საარმიო კომისრები	16	1b6
კორპუსის კომისრები	26	25
დივიზიის კომისრები	64	58
პოლკების მეთაურები	451	401

სხვადასხვა სახის რეპრესიები შეეხო წითელი არმიის 40 ათას ოფ-იცერს

საჩვენებელი სასამართლო პროცესი

წელი	პროცესი
1936 წელი -	ზინოვიევისა და კამენევის სასამართლო პროცესი
1937 წელი -	უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის სასამართლო პროცესი
1938 წელი -	რიკოვისა და ბუხარინის სასამართლო პროცესი

რეპრესიების მიზეზები:

- მოსახლეობის არაეკონომიკური იძულების აუცილებლობა;
- პირადი ხელისუფლების რეჟიმის შენარჩუნება;
- ტოტალიტარული საზოგადოების დარაზმისა და განმტკიცების აუცილებლობა

გულაგის სისტემა

	1930 წლის 1 მაისისთვის	1940 წლის 1 მარტისთვის
ბანაკების რაოდენობა	279	536
პატიმრების რაოდენობა	171.251	1.668.200

3.“გამარჯვებული სოციალიზმის“ კონსტიტუცია

„დიდი ტერორის“ მეშვეობით სტალინი ცდილობდა ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის ლიკვიდაციას, რაც გამოწვეული იყო მისი ეკონომიკური და პოლიტიკური შეცდომებით. ამ შეცდომების აღიარება არ შეეძლო. საჭირო იყო ყველა საშუალებით აეძულებინა ადამიანები არ ეფიქრათ და არ შეეტანათ ეჭვი არსებულ ხელისუფლებაში, მათ უნდა დაენ-

ახათ ის, რაც სინამდვილეში არ იყო. მოცემული პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება იყო საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება. კონსტიტუცია იყო შირმა, რომელიც რეპრესიულ რეჟიმს დემოკრატიული და სოციალისტური საფარველის ქვეშ აქცევდა.

1936 წლის კონსტიტუციას, მისი ავტორების ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა აესახა მნიშვნელოვანი ეტაპი საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში - სოციალიზმის აშენება.

კონსტიტუციას „სტალინური კონსტიტუცია“ უწოდეს, მაგრამ კონსტიტუციის ტექსტის ძირითადი ავტორი იყო ნ. ბუხარინი. უკვე შემდეგ შემუშავებული ტექსტის „სრულყოფაზე“ უშუალოდ იმუშავა სტალინმა.

2.1.კონსტიტუციის მიღება

1935 წლის 1 თებერვალს საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი წინადადებით გამოვიდა „ზოგიერთი ცვლილება“ შეეტანათ არსებულ კონსტიტუციაში. 1935 წლის 6 თებერვალს საბჭოების საკავშირო VII ყრილობის გადაწყვეტილებით შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელშიც 12 ქვეკომისია შედიოდა. კომისიის თავმჯდომარე იყო ი. სტალინი

მუშაობის დაწყების შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ახალი კონსტიტუციის მიღება. საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია იურიდიული თვალსაზრისით ორი ნაწილისგან შედგებოდა: დეკლარაციის და საბჭოთა კავშირის შექმნის ხელშეკრულებისაგან. ახალი კონსტიტუციის პროექტში უარი იყო ნათქვამი კონსტიტუციის ხელშეკრულებით ხასიათზე. შეიქმნა ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი კონსტიტუცია, რომელიც მოიცავდა სახელმწიფო ცხოვრების ყველა მხარეს.

1936 წლის მაისისთვის მომზადდა ახალი კონსტიტუციის პროექტი. 1936 წლის ივნისის დასაწყისში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა კონსტიტუციის პროექტი და 12 ივნისს გამოაქვეყნეს „საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის“. ეს განხილვა თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. დარეგისტრირდა დაახლოებით 170 ათასი წინადადება კონსტიტუციის პროექტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. კონსტიტუციის განხილვაში „მონაწილეობა მიიღო“ 75 მლნ. ადამიანმა.

კონსტიტუცია მიიღეს 1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოების VIII საკავშირო საგანგებო ყრილობაზე. სტალინის განცხადებით, საბჭოთა საზოგადოებამ „განახორციელა ის, რაც მარქსისტებთან ეწოდება კომუნიზმის პირველი ფაზა - სოციალიზმი“.

სოციალიზმის აშენების ეკონომიკურ კრიტერიუმად „სტალინური“ კონსტიტუცია აცხადებდა კერძო საკუთრების ლიკვიდაციას და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობას, სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების გამარჯვება.

სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძვლად გამოცხადდა სოციალისტური საკუთრება, რომელიც ორი ფორმით არსებობდა - სახელმწიფო და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო. დაშვებული იყო პირად შრომაზე დაფუძნებული წვრილი ინდივიდუალური მეურნეობა.

2.2.საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ საფუძვლად გამოცხადდა მშრომელთა დეპუტატთა საბჭოები. ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოდ გამოცხადდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო, რომელსაც საყოველთაო კენჭისყრით ირჩევდნენ.

უმაღლესი საბჭო ორი პალატისაგან შედგებოდა - კავშირების საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან. კავშირების საბჭოს ირჩევდნენ ოლქებში - ერთი დეპუტატი 300 ათას მცხოვრებზე; ეროვნებათა საბჭოს კი ირჩევდნენ შემდეგი პრინციპით: 25 დეპუტატი თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისგან, 11 დეპუტატი ყოველი ავტონომიური რესპუბლიკიდან, 5 დეპუტატი თითოეული ავტონომიური ოლქიდან, 1 დეპუტატი ყოველი ნაციონალური ოკრუგიდან.

სესიებს შორის პერიოდებში აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

პირველად კონსტიტუციაში განისაზღვრა კომუნისტური პარტიის როლი პოლიტიკურ სისტემაში. საკ. კპ(ბ) გამოცხადდა „მშრომელთა მოწინავე რაზმად“, რომელიც მშრომელთა ყველა საზოგადიოებრივი ორგანიზაციის „ხელმძღვანელ ბირთვად“ გამოცხადდა. კონსტიტუციის 126-ე მუხლი, რომელიც ამ სტატუსს აფიქსირებდა, სინამდვილეში იყო პოლიტიკურ ხელისუფლებაზე პარტიის მონოპოლიის დაფიქსირება. დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს კონსტიტუციის ძალით მიეცათ ადმინისტრაციის კონტროლის უფლება.

1936 წლის 5 დეკემბერს მიღებულმა კონსტიტუციამ:

- გამოაცხადა სოციალიზმის აშენება;
- საბჭოები გამოაცხადა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებად
- გამოაცხადა უმთავრესი დემოკრატიული უფლებები, ოღონდ რეალურად უზრუნველყოფის გარეშე
- სახელმწიფო იდეოლოგიად გამოცხადა მარქსიზმ-ლენინიზმი
- აღნიშნავდა, რომ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია
- ოპოზიციური პარტიების შექმნისკენ მიმართული საქმიანობა ანტიკონსტიტუციურად და დანაშაულებრივ საქმიანობად გამოაცხადა,

2.3.მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა კიდევ უფრო შემცირება

1936 წლის კონსტიტუციით გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია და საბჭოთა კავშირში უკვე შედიოდა 11 მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკა: რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი.

ახალ კონსტიტუციაში, წინანდელთან შედარებით, გაიზარდა ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალიზაცია, კიდევ უფრო შემცირდა მოკავშირე რესპუბლიკების ისედაც მცირე უფლებები.

მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მდგომარეობა

ძირითადი კონსტიტუციური დებულებები	სსრკ 1924 წლის კონსტიტუცია	სსრკ 1936 წლის კონსტიტუცია
1.სუბიექტი, ვისაც ეკუთვნის საკუთრება - მიწა, წიაღისეული, ტყე და წყალი	1. მკაფიოდ არ არის განსაზღვრული მიწის, წიაღისეულის და ა.შ. განკარგვის უფლება მოკავშირე რესპუბლიკებს ეკუთვნოდათ	1.საკუთრების უფლების სუბიექტის საბჭოთა კავშირი
2.საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა	2. 10 სახალხო კომისარიატი (5 საკავშირო, 5 საკავშირო-რესპუბლიკური)	2. 18 სახალხო კომისარიატი (8 საკავშირო, 10 საკავშირო-რესპუბლიკური)
3.კანონშემოქმედება	3. კოდექსები იცვლებოდა რესპუბლიკებში მათი სპეციფიკის მიხედვით	3. კოდექსების გამოცემა მიეკუთვნა სსრკ-ს კომპეტენციას
4. კავშირისა და რესპუბლიკების უფლებამოსილების გამიჯვნა	4.საკითხების მკაფიო წრე, რომლებიც მიეკუთვნებოდა საკავშირო ორგანოების კომპეტენციას და რესპუბლიკების კომპეტენციაში დარჩენილი საკითხები მწყობრი სისტემა, რომელიც რესპუბლიკებს მათ კომპეტენციაში ცენტრ ის ჩარევისაგან იცავდა	4. ფორმალურად გამიჯნული იყო ცენტრისა და რესპუბლიკების კომპეტენცია, მაგრამ არ არსებობდა მექანიზმი, რომელიც რესპუბლიკებს ცენტრის ჩარევისგან დაიცავდა
5. მოკავშირე რესპუბლიკების უფლება თავიანთ ტერიტორიაზე გაეუქმებინათ ცენტრის მიერ მიღებული აქტები	5. რესპუბლიკებს შეეძლოთ თავიანთ ტერიტორიაზე შეეჩერებინათ საკავშირო უწყებების მიერ მიღებული დადგენილებები, თუ-	5. გაძლიერდა საკავშირო ორგანოების უფლება გაეუქმებინათ რესპუბლიკების აქტები, რომლებიც საკავშირო კანონმდებლობას ეწინააღმდეგებო-

	კი ის ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკის კონსტიტუციას და ინტერესებს. შეეძლოთ გაესაჩივრებინათ უკანონო მოქმედება საკავშირო ცაკში სსრკ უმაღლესი სასამართლოს ქონდა კონსტიტუციური კონტროლის ფუნქციას	და. რესპუბლიკებს ჩამოერთვათ საკავშირო ორგანოების რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედების გასაჩივრების უფლება. უმაღლეს სასამართლოს ჩამოერთვა კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია

2.4.კონსტიტუციის „სტალინური“ ნორმები

საბჭოთა კონსტიტუციაში დაფიქსირებული იყო მოქალაქეთა ფართო უფლებები, მაგრამ კონსტიტუციური ნორმების უმეტესობა ცარიელი დეკლარაცია იყო. „სტალინური“ სოციალიზმის მიზანი იყო არა საზოგადოების თითოეული წევრის თავისუფალი განვითარების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული წანამძღვრების შექმნა, არამედ სახელმწიფოს ძლიერების ზრდა.

საკუთრება და პოლიტიკური ხელისუფლება თავმოყრილი იყო სტალინისა და პარტიულ-სახელმწიფოებრივი აპარატის ხელში. ისინი ხალხისგან გაუცხოებულნი იყვნენ.

საბჭოთა კონსტიტუციაში პირველად იყო ნათქვამი პიროვნების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის, მიმოწერის საიდუმლოების დაცვის შესახებ. თუმცა ეს გარანტიები სასაცილოდ ჟღერდა მასობრივი რეპრესიების პირობებში.

კონსტიტუციაში გამკაცრდა დამოკიდებულება ეკლესიისადმი. მორწმუნეებს ეკრძალებოდათ რელიგიური პროპაგანდა და მხოლოდ კულტის აღსრულების უფლება ჰქონდათ. არამორწმუნეებს კი შეეძლოთ ანტირელიგიური პროპაგანდა.

1936 წლის კონსტიტუციამ გამოაცხადა ყველა დონის საბჭოების საყოველთაო, პირდაპირი (მრავალსაფეხურიანის ნაცვლად), თანასწორი (პროპორციულის ნაცვლად), ფარული (ღიას ნაცვლად) არჩევნები. გაუქმდა პოლიტიკური ცხოვრებიდან რაიმე კატეგორიის ადამიანების ჩამოცილება გარდა სასჯელმისჯილთა და გიჟად ცნობილებისა. მანამდე ძალზედ ბევრს ჰქონდა წართმეული ხმის უფლება - კულაკებს, ნეპმანებს და „ყოფილებს“ (მეფის დროინდელი პოლიციელები, ადმინისტრაცია და ა.შ.) 1932 წელს ხმის უფლება წართმეულთა რაოდენობა ოჯახის წევრებთან ერთად შეადგენდა 7 მილიონ ადამიანს.

1930-იანი წლების საბჭოთა საზოგადოების დამახასიათებელი ნიშნები

სფერო	დამახასიათებელი ნიშანი
ეკონომიკის სფერო	- მწარმოებელი სრულად ემორჩილება სახელმწიფოს; - შრომის თავისუფლების არარსებობა და მისი შეცვლა არაეკონომიკური იძულებით; - სახელმწიფოს მონოპოლია წარმოების საშუალებებზე; - ეკონომიკის მილიტარიზაცია; - ქონებრივი ურთიერთობების სახელმწიფოებრივი რეგულირება.
პოლიტიკის სფერო	- ერთპარტიული სისტემა; - პარტიული და სახელმწიფო აპარატების შეზრდა; - მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების უნიფიკაცია; - საზოგადოებაში რეალური თავისუფლებების არ არსებობა;

	- მძლავრი რეპრესიული აპარატის არსებობა.
სულიერი სფერო	- პარტიული იდეოლოგიის ბატონობა; - სრული სახელმწიფო კონტროლი განათლების სფეროსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე; - სულიერი ცხოვრების უნიფიცირება; - ათეიზმის დიქტატი
ეროვნულ ურთიერ-თობათა სფერო	- ფორმით ფედერაციული, არსით უნიტარული სახელმწიფო; - საბჭოთა კავშირის ხალხების რუსიფიკაციის ტენდენცია; - მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების შეზღუდვა

დანართი

როგორ გამოიყენა კიროვის მკვლელობა სტალინმა თავისი პოლიტიკური მიზნისთვის

1930-იან წლებში დაიწყო რეპრესიების ახალი ტალღა. მისი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო იოსებ სტალინი. ამ დროისთვის სტალინის წინაშე დადგა საკითხი, თუ ის რეპრესიებს არ გაატარებდა და პოლიტიკურ ოპონენტებს გზიდან არ ჩამოიცილებდა, მაშინ იგი უეჭველად დაკარგავდა ხელისუფლებას. სტალინმა ხელისუფლების დაკარგვას, რეპრესიები არჩია. მის წინაშე არ დასმულა კითხვა: ღირდა კი ძალაუფლების შენარჩუნებად ამდენი ადამიანის გაწირვა? სტალინი მოქმედებდა პრინციპით: „მიზანი ამართლებს საშუალებას". 20-იანი წლების რეპრესიები მიმდინარეობდა სტიქიურად, ცალკეული კამპანიების სახით, 30-იანი წლების რეპრესიები კი, გააზრებული იყო უაღრესად ზუსტად, ანუ სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო. უკვე 20-იანი წლების ბოლოდან სტალინი გრძნობდა, რომ საბჭოთა პოლიტიკურ ელიტაში, ბოლშევიკური პარტიის ზედა ფენაში მომწიფდა აზრი, მისი ხელისუფლებიდან ჩამოცილების თაობაზე. საფრთხე ამ პერიოდში სტალინმა მოხერხებულად აიცილა თავიდან. მან მთელი ყურადღება ლევ ტროცკისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ ბრძოლაზე გადაიტანა. მიუხედავად ამისა, საფრთხე ლიკვიდირებული არ იყო. სტალინმა კარგად იცოდა, რომ ტროცკის დამარცხების შემდეგ, მის წინააღმდეგ ოპოზიცია ისევ დაირაზმებოდა. სტალინმა ისიც კარგად უწყოდა, რომ მას დიდი ოპოზიცია ჰყავდა არმიაში, აღარაფერს ვამბობთ, ინტელიგენციაზე, კულაკებზე, სამღვდელოებასა და ასე შემდეგ. 1934 წლისთვის სტალინს ფართომასშტაბიანი რეპრესიების გეგმა უკვე მოფიქრებული ჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დრომდე საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (სამინისტრო). საბჭოთა კავშირს კი, ეს ძალოვანი სტრუქტურა არ ჰქონდა. მის ფუნქციას ასრულებდა საგანგებო კომისიის (ჩეკას) მემკვიდრე – გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო. 1934 წლის 10 ივლისს შეიქმნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელსაც პოლიტსამმართველოზე გაცილებით მეტი თანამშრომელი ჰყავდა და კარგად ორგანიზებული, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, ძლიერი ძალოვანი სტრუქტურა იყო. ასეთი ძალოვანი უწყება სტალინს სწორედ რეპრე-

სიების გასატარებლად ესაჭიროებოდა. იოსებ სტალინი დიდხანს ფიქრობდა, ვინ დაენიშნა პირველ სახალხო კომისრად. რამდენიმე კანდიდატურას შორის ამოარჩია ყველაზე უარესი – ჰენრიხ იაგოდა, ხოლო მისი გადაყენებისა და დახვრეტის შემდეგ, კიდევ უფრო მასზე უარესი – ნიკოლაი ეჟოვი. 1934-1938 წლებში სწორედ ეს ორი ადამიანი ხელმძღვანელობდა რეპრესიების გატარებას.

რეპრესიების დაწყებისათვის აუცილებელი იყო რაღაც განსაკუთრებული საბაბი. სტალინს ესეც მოფიქრებული ჰქონდა. 1934 წლის 1 დეკემბერს სპეცსამსახურების მიერ სათანადოდ მომზადებულმა პიროვნებამ ლეონიდ ნიკოლაევმა მოკლა ცნობილი ბოლშევიკი, კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ლენინგრადის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი – სერგეი კიროვი. ტერორისტული აქტი, ისე იყო დაგეგმილი, რომ მას პოლიტიკური მკვლელობის კვალიფიკაცია არ უნდა მისცემოდა. საბჭოთა პოლიტიკურ ელიტაში და საზოგადოებაშიც კარგად იყო ცნობილი, რომ „უმწიკვლო" ბოლშევიკი სერგეი კიროვი სინამდვილეში უაღრესად გარყვნილი ადამიანი იყო. ლენინგრადის საქალაქო ბოლშევიკური ორგანიზაციის რეზიდენციაში (სმოლნში) სამუშაოდ მოაწყო მისი საყვარელი მილდა დრაულე. მილდა დრაულეს ქმარი იყო ლენინგრადის საოლქო კომიტეტის თანამშრომელი, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პიროვნება ლეონიდ ნიკოლაევი. სპეცსამსახურებმა, სწორედ ლეონიდ ნიკოლაევის დამუშავება დაიწყეს და მკვლელობაზე წააქეზეს. ნიკოლაევმა კარგად იცოდა, რომ მისი ცოლი კიროვის საყვარელი გახლდათ და იმდენად გაღიზიანებული იყო, რომ სმოლნში მუშაობასაც თავი დაანება. სპეცსამსახურები მას სმოლნის რეზიდენციაში შეღწევაში დაეხმარნენ და ტერორისტული აქტისთვის იარაღი მისცეს.

ტერორისტი დაუბრკოლებლად მივიდა კიროვის სამუშაო კაბინეტამდე და როცა მსხვერპლი კაბინეტიდან გამოვიდა, ზურგიდან მიბჯენით ესროლა კეფაში. კიროვის მკვლელობა სტალინმა გამოაცხადა, როგორც უცხოეთიდან მართული, ოპოზიციურად განწყობილი მტრული ძალების შეტევა საბჭოთა ხელისუფლებაზე. საჯაროდ აცხადებდნენ, რომ ეს ძალები სტალინისა და სხვა პოლიტიკური ლიდერების მკვლელობასაც გეგმავდნენ, რაც სრული სიცრუე იყო. ამოქმედდა რეპრესიების აპარატი. კიროვის მკვლელობიდან, სულ რამდენიმე საათის შემდეგ, მიიღეს სპეციალური კანონი ტერორისტული აქტების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე. კანონის ძალით, აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის გამოძიება 10 დღეში უნდა დასრულებულიყო. ბრალდებულს საბრალდებო დასკვნა სასამართლომდე მხოლოდ ერთი დღით ადრე გადაეცემოდა, სასამარ-

თლო კი, პროკურორისა და ადვოკატის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა. განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. მსჯავრდებულის შეწყალება არ შეიძლებოდა, სიკვდილის განაჩენი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულებულიყო. აღნიშნული კანონის საფუძველზე, 1934 წლის დეკემბერში დახვრიტეს 6 501 ადამიანი. დახვრიტეს ლეონიდ ნიკოლაევი, მისი დედა, მამა, ძმა, დები, ბიძაშვილი და სხვა ნათესავები. დახვრიტეს მილდა დრაულეც. 1935 წლის მარტში მიღებული კანონის ძალით, ისჯებოდნენ „სამშობლოს მოღალატეთა“ ოჯახის წევრები. იმავე წლის აპრილიდან სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევდნენ ბავშვებს, რომელთაც 12 წელი უკვე შესრულებოდათ. პარალელურად, მიმდინარეობდა კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის რიგების წმენდა. 1934 წლის 1 დეკემბრიდან ერთი წლის განმავლობაში პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს 15 ათას კაცზე მეტი.

სტალინს უპირველესად, აინტერესებდა კომუნისტური პარტიის ზედა ფენაში ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების ფიზიკური მოსპობა. ასევე პარტიის რესპუბლიკური საოლქო, საქალაქო და რაიონული ხელმძღვანელებისა და საბჭოთა არმიის ხელმძღვანელობაში ოპოზიციურად განწყობილთა განადგურება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ინტელიგენციის „წმენდას“ და საერთოდ, მოსახლეობის ყველა ფენის დაშინებას, რათა სამომავლოდ, ოპოზიციურ ძალთა ორგანიზების საშიშროება აღარ შექმნილიყო.

იოსებ სტალინის სიკვდილის შემდეგ, მისმა მემკვიდრემ და პოლიტიკურმა ოპონენტმა ნიკიტა ხრუშჩოვმა 30-იანი წლების რეპრესიების თაობაზე სპეციალური გამოძიება დანიშნა. გამოძიების შედეგად დადასტურდა, რომ 1937-1938 წლებში დააპატიმრეს 1,5 მილიონი კაცი, რომელთაგან 680 692 დახვრიტეს. რეპრესიების ფართო მასშტაბებზე მეტყველებს კიდევ ერთი ციფრი – 1934 წელს გაიმართა კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკური) მეჩვიდმეტე ყრილობა. ისე მოხდა, რომ ყრილობის დელეგატების უმრავლესობა სტალინისადმი ოპოზიციურად იყო განწყობილი. ყრილობის 1961 დელეგატიდან მომდევნო წლებში სიკვდილით დასაჯეს 1 108 დელეგატი. ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი 139 კაცის შემადგენლობით, რომელთაგან შემდგომ სიკვდილით დასაჯეს – 98.

http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=1846

ტროცკის მკვლელობა

1940 წლის 20 აგვისტო, ქალაქი კოიოკანი, მექსიკა. ლევ ტროცკის სახლს მიუახლოვდა გემოვნებით ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მიუხედავად მზიანი დღისა, გრძელ ლაბადაში გამოწყობილიყო. მან დაცვას ტროცკისთან შეხვედრა სთხოვა იმ მიზეზით, რომ სტატია აქვს დაწერილი ტროცკისტულ მოძრაობაზე. დაცვამ მამაკაცი სახლში შეუშვა და ტროცკიმ იგი თავის კაბინეტში მიიწვია. სტუმარმა გადასცა ლევ ტროცკის სტატია და როცა დევნილმა რევოლუციონერმა მისი კითხვა დაიწყო, ახალგაზრდამ ლაბადიდან ამოიღო ყინულმჭრელი და მთელი ძალით ჩაარტყა ტროცკის კეფაში. გათვლა ისეთი იყო, რომ ერთი დარტყმის შემდეგ რევოლუციონერი მომენტალურად უნდა მომკვდარიყო. მაგრამ კითხვის დროს ტროცკიმ თავი ოდნავ მოაბრუნა და ამან დარტყმის ძალა შეამცირა. მართალია ყინულმჭრელის პირი 7 სანტიმეტრით შევიდა კეფაში, მაგრამ ტროცკი მაშინვე არ მომკვდარა. მან საშინლად დაიყვირა და ამით ისე დააბნია მკვლელი, რომ მან ვეღარ მოახერხა, ტროცკისთვის დანაც ჩაერტყა (დანა მას ასევე ლაბადაში ჰქონდა). ყვირილზე კაბინეტში დაცვა შემოვარდა და მკვლელი დააკავეს. აღსანიშნავია, რომ მან ფრანგულად დაიყვირა: "მათ ამის გაკეთება მაიძულეს... მათ ციხეში დედაჩემი ჩასვეს. მათ მისი მოკვლა უნდათ... გთხოვთ მომკალით! მინდა მოვკვდე!" მოგვიანებით იგი პოლიციას გადასცეს, ტროცკი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. თავიდან ტროცკის მდგომარეობა დამაიმედებელი იყო, მაგრამ 21 აგვისტოს მკვეთრად გაუარესდა და გონს მოუსვლელად, 19 საათსა და 25 წუთზე ლევ ტროცკი გარდაიცვალა.

ასე დასრულდა ერთ-ერთი გავლენიანი და ცნობილი ბოლშევიკის ცხოვრება. რევოლუციის შემდეგ ტროცკი იყო პირველი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი (1917-1918 წწ.), რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე (1918-1925 წწ.), სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი (1918-1925 წწ.) და გავლენით მეორე კაცი სოციალისტურ სახელმწიფოში. მაგრამ 1924 წელს 21 იანვარს გარდაიცვალა ვლადიმირ ლენინი და მისი სიკვდილის შემდეგ ბოლშევიკურ პარტიაში ძალაუფლებისთვის მწვავე ბრძოლა დაიწყო ტროცკისა და სტალინს, კამენევსა და ზინოვიევს შორის. ეს ბრძოლა, რომელმაც დისკუსიის ხასიათი მიიღო, ტროცკის მარცხით დასრულდა: 1927 წელს ლევ ტროცკი გარიცხეს სრულიად რუსეთის კომუნისტური (ბ) პარტიიდან. მანამდე კი, 1925 წლის იანვარში იგი გადააყენეს რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომა-

რის პოსტიდან, აგრეთვე სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის პოსტიდანაც. მომდევნო წლის ოქტომბერში სტალინმა ტროცკი პოლიტბიუროს შემადგენლობიდან გაიყვანა, 1928 წლის შემოდგომისთვის კი იგი ალმა-ათაში, ყაზახეთში გადაასახლეს.

ტროცკიმ ასე ახსნა მისი გადასახლება - «1928 წელს დახვრეტაზე კი არა, არამედ დაკავებაზეც შეუძლებელი იყო საუბარი: თაობა, რომელთანაც მე ოქტომბრის რევოლუცია და სამოქალაქო ომი გავიარე, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. პოლიტბიურო ყველა მხრიდან ალყაში იყო და გრძნობდა ამას. ცენტრალური აზიიდან მე ვუკავშირდებოდი ოპოზიციას». ტროცკის საცხოვრებელი პირობები ალმა-ათაში საკმაოდ კომფორტული იყო: ის განაგრძობდა თავის მომხრეებთან მიმოწერას, შეძლო თავისი უზარმაზარი არქივის გამოტანა (ტროცკიმ ყველა იმ საბუთის ასლი გააკეთა, რასაც ხელი მოაწერა). მაგრამ მიიჩნევდა, რომ არადამაკმაყოფილებელ პირობებში ცხოვრობდა და «ბომბავდა» ცაკ-ს (ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტს), ცსკ-ს (ცენტრალურ საკონტროლო კომისიას), მპს-ს (მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს). იგი წერდა, რომ გაზეთებს მოსკოვიდან იღებს ათი დღის დაგვიანებით, ხოლო წერილები კი სამი თვით იგვიანებს. ტროცკი ასევე აღნიშნავდა, რომ მთავარი პოლიტიკური სამმართველო სანადიროდ წასვლას უკრძალავდა.

ალმა-ათიდან ტროცკი კარგად ხედავდა, როგორ უსწორდებოდა სტალინი თავის ყოფილ მოკავშირეებს, კერძოდ ზინოვიევს, ბუხარინსა და კამენევს. მაგრამ ტროცკი ძალიან პოპულარული იყო ძველ რევოლუციონერებში და სტალინი ვეღარ ბედავდა მის წინააღმდეგ პროცესის დაწყებას. ბოლოს და ბოლოს, მან გადაწყვიტა ტროცკი საზღვარგარეთ გადაესახლებინა. 1929 წელს ლევ ტროცკიმ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ბრძანებით დატოვა საბჭოთა კავშირის საზღვრები. სტალინის ეს ნაბიჯი შემდეგნაირად შეიძლება ავხსნათ: იგი მიიჩნევდა, რომ საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ ტროცკი ვეღარ შეძლებდა რამე მოქმედების განხორციელებას. ამ მომენტიდან იწყება ტროცკის მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. პირველი იყო თურქეთი, სადაც რევოლუციონერი კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) გაჩერდა. მაგრამ კონსტანტინოპოლში ბევრი ყოფილი თეთრგვარდიელი იმყოფებოდა, ტროცკი თავდასხმას ელოდებოდა და თურქულმა მთავრობამ იგი პრინსის კუნძულებზე გადაიყვანა, სადაც ტროცკი აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას შეუდგა, დაწერა ავტობიოგრაფიული ნაშრომი «ჩემი ცხოვრება».

მაგრამ თურქეთში ტროცკი დიდხანს აღარ გაჩერდა და 1933 წელს საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. დიდხანს ვერც იქ დაყო, რადგა-

ნაც ევროპელ სოციალისტებთან შეხვედრების გამართვა წამოიწყო და შინაგან საქმეთა მინისტრმა სთხოვა, ქვეყანა დაეტოვებინა. საინტერესოა, რომ 1934 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შეძლო ტროცკის გარემოცვაში თავისი აგენტის ჩანერგვა, კერძოდ კი მისი შვილის, ლევ სედოვის გარემოცვაში. ეს იყო მარკ ზბოროვსკი, რომელმაც მოახერხა ზოგიერთი საბუთის მოპარვა ტროცკის უზარმაზარი არქივიდან, რომელიც მან საბჭოთა კავშირიდან წაიღო. ტროცკიმ დატოვა საფრანგეთი და ნორვეგიაში გადავიდა, სადაც 1935 წლის არჩევნებში მუშათა პარტიამ გაიმარჯვა. პარტია 1923 წლამდე კომინტერნში შედიოდა (კომუნისტური ინტერნაციონალი - საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტურ პარტიას აერთიანებდა 1919-1943 წლებში). მაგრამ არც ნორვეგიაში დარჩენილა ტროცკი დიდხანს. საბჭოთა კავშირისგან ზეწოლის გამო ნორვეგია იძულებული იყო, ტროცკი 1936 წელს გადაესახლებინა პატარა სოფელში, სადაც ის 1937 წლის იანვრამდე ცხოვრობდა, როცა მექსიკის პრეზიდენტმა, სოციალისტმა ლასარო კარდენასიმ ტროცკი მეხიკოში დაპატიჟა, სადაც ის საბოლოოდ დასახლდა.

ემიგრაციაში ტროცკი, გარდა პუბლიცისტური საქმიანობისა, აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში. ემიგრაციაში რევოლუციონერმა შექმნა მეოთხე ინტერნაციონალი - ალტერნატიული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა ტროცკისტული მიმართულების პარტიებსა და მის მომხრეებს. ტროცკი მიიჩნევდა, რომ კომინტერნი სტალინის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა და მსოფლიო რევოლუციის წარმართვას ვეღარ შეძლებდა. ინტერნაციონალის პირველი შეხვედრა, ეგრეთ წოდებული დამფუძნებელი კონგრესი, 1938 წელს მოეწყო საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, ალფრედ როსმერის სახლში (ალფრედ როსმერი - მეოთხე ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლევ ტროცკის მეგობარი). კონგრესში მონაწილეობდნენ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დელეგატები, რაც ტროცკისტული იდეების პოპულარობაზე მიუთითებდა. საერთოდ, ტროცკიზმი არ უნდა განვიხილოთ, როგორც ახალი იდეოლოგია ან როგორც ახალი დოქტრინა. ტროცკიზმი ნამდვილი მარქსიზმია, ოღონდ აზუსტებს და ავითარებს მარქსიზმის თეორის მნიშვნელოვან ნაწილს.

მალე ლევ ტროცკი საცხოვრებლად მექსიკაში გადავიდა. 1937 წლისთვის მექსიკას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან, რაც ქვეყანაზე წნეხს აძნელებდა. ასევე აღსანიშნავია, რომ მექსიკა ამერიკის შეერთებულ შტატებს ესაზღვრება, 1937

წელს კი აშშ-ში იმყოფებოდა მეოთხე ინტერნაციონალის ყველაზე დიდი ეროვნული სექცია, საიდანაც შემოწირულობებს იღებდა. ტროცკის ყველა მდივანი და დაცვის წევრი ამერიკელი იყო. თვითონ ტროცკი რამდენ-ჯერმე ეცადა შეერთებულ შტატებში ჩასვლას, მაგრამ აშშ-ის მთავრობა მუდმივად უარს ამბობდა ვიზაზე. ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსი-ტეტმა ტროცკი ლექციების წასაკითხად მიიწვია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო დეპარტამენტმა ვიზის გაცემაზე უარი განაცხადა. ტროცკის ერთადერთი შეხვედრა შეერთებული შტატების ხელისუფლებასთან გა-იმართა 1937 წელს მის სახლში, მექსიკაში, სადაც დიუის კომისიის სხდო-მები მოეწყო, რომელმაც მოსკოვური პროცესების სინამდვილე ეჭვქვეშ დააყენა. კომისიის ხელმძღვანელი იყო უდიდესი ამერიკელი ფილოსო-ფოსი ჯონ დიუი. მოსკოვურ პროცესებში იგულისხმება სამი ღია სასამარ-თლო პროცესი, სადაც ბოლშევიკური პარტიის ყოფილი გავლენიანი წევ-რები გაასამართლეს, რომლებიც დაკავშირებულები იყვნენ ტროცკის-ტულ ან მემარჯვენე ოპოზიციასთან. გასამართლებულთა შორის იყვნენ პარტიის ისეთი ფუნქციონერები, როგორებიცაა ზინოვიევი და კამენევი. ტროცკი აპირებდა, კომისიის სხდომები პოლიტიკურ ტრიბუნად გამოეყ-ენებინა, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო ინგლისური ენის ცუდი ცოდნის გამო. ტროცკიმ უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა, მან შეაგროვა დოკუმენტები და მტკიცებულებები, რომლებიც უარყოფდნენ მოსკოვური პროცესების შე-დეგებს. კომისიამ დაადგინა, რომ დაკავებულები ტყუილად გაასამარ-თლეს და არც ტროცკის ჩაუდენია ყველა ის დანაშაული, რასაც მას აბრა-ლებდნენ პროცესების მსვლელობისას.

მოსკოვური პროცესების შემდეგ ნათელი გახდა, რომ სტალინისა და ტროცკის დაპირისპირება რომელიმე მათგანის სიკვდილით დამ-თავრდებოდა. 1938 წელს სტალინმა დაავალა ლავრენტი ბერიას, რომე-ლიც იმ მომენტისთვის საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კო-მისარი იყო, ტროცკის წინააღმდეგ «აქციის» მომზადება. როგორც იხსე-ნებს პაველ სუდოპლატოვი, სტალინი არ ამბობდა პირდაპირ, რომ ტროცკი უნდა მოეკლათ, მაგრამ რამდენჯერმე ნათლად თქვა, რომ «ტროცკისტულ მოძრაობაში არ არსებობს ტროცკიზე მნიშვნელოვანი ფი-გურა. იმ შემთხვევაში, თუ ტროცკისაც მოვიშორებთ, საფრთხე კომინ-ტერნისთვის მოცილებული იქნება». ბერიამ შესთავაზა სუდოპლატოვის დაყენება ამ ოპერაციის სათავეში. პაველ სუდოპლატოვი იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საბჭოთა მზვერავი, რომელმაც სახელი გაითქვა ევგენი კონოვალეცის მკვლელობით - ეს გახლდათ უკრაინელი ნაციონ-ალისტების ლიდერი, რომელიც საგანგებოდ მოწყობილი აფეთქებით

მოკლეს 1938 წლის მაისში როტერდამში. პაველ სუდოპლატოვი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. სუდოპლატოვმა შესთავაზა ნაუმ ეიტინგტონი, როგორც ოპერაციის უშუალო ორგანიზატორი. ნაუმ ეიტინგტონი იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმატებული აგენტი. მეორე მსოფლიო ომამდე მან მოახერხა ესპანეთის სახელმწიფო ოქროს მარაგის საბჭოთა კავშირში გადატანა (ესპანეთში სამოქალაქო ომში გაიმარჯვა გენერალ ფრანკოს ფაშისტურმა მოძრაობამ და ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობამ ოქროს მარაგის ნაწილი საბჭოთა კავშირში გადაიტანა), თეთრგვარდიელების მოძრაობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი წევრის მოტაცება და მათი საბჭოთა კავშირში გადაყვანა.

ეიტინგტონმა წამოაყენა ამგვარი გეგმა: უნდა შექმნილიყო ორი დამოუკიდებელი ჯგუფი. პირველ ჯგუფს, «ცხენს» ხელმძღვანელობდა დავიდ ალფარო სიკეიროსი, მექსიკელი მხატვარი, ესპანეთში სამოქალაქო ომის ვეტერანი. ის მექსიკაში გადავიდა და კომპარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა. მეორე ჯგუფს, «დედას» ხელმძღვანელობდა კარიდად მერკადერი. მისი ერთ-ერთი წინაპარი კუბის ვიცე-გუბერნატორი იყო, ხოლო დიდი ბაბუა - ესპანეთის ელჩი რუსეთში. სწორედ მისი ერთ-ერთი შვილი, ხაიმე რამონ მერკადერ დელ რიო ერნანდესი მოკლავს მომავალში ტროცკის. ეიტინგტონმა საგანგებოდ შეარჩია ისეთი აგენტები, რომლებიც არასდროს მონაწილეობდნენ ტროცკისტთა წინააღმდეგ გამართულ აქციებში. ოპერაციას დაარქვეს «იხვი» (იგულისხმება «Утка» - ანუ დეზინფორმაცია).

აქციის მოწყობის ბრძანება პირველმა მიიღო ჯგუფმა «ცხენი». ოპერაციის ჩასატარებლად ვიტინგტონმა უბრძანა ერთ-ერთ თავის აგენტს, იოსიფ გრიგულევიჩს, შეექმნა მესამე, დამოუკიდებელი ქსელი მექსიკასა და კალიფორნიაში მოსაწყობი ოპერაციებისთვის. მაგრამ უფრო მნიშნელოვანი ის იყო, რომ გრიგულევიჩი დაუმეგობრდა ტროცკის დაცვის ერთ-ერთ წევრს, რობერტ შელდონ ჰარტს. სწორედ შელდონ ჰარტმა შეუშვა სიკეიროსის ჯგუფი (20 კაცის შემადგენლობით) 1940 წლის 23 მაისს ტროცკის სახლში. თავდამსხმელები შეიარაღებული იყვნენ თომპსონის ავტომატებით. ჯგუფს ჰქონდა ტროცკის სახლის გეგმა და შესაბამისად, ზუსტად იცოდნენ, სად იმყოფებოდა ტროცკი. თავდამსხმელებმა, რომელთაც მექსიკური პოლიციის უნიფორმა ეცვათ, ცეცხლი გაუხსნეს იმ ოთახს, სადაც ტროცკი და მისი ცოლი იყვნენ. თავდასხმა 10-15 წუთს გრძელდებოდა, რომლის განმავლობაშიც თავდამსხმელებმა 300-ზე მეტი

ტყვია გაისროლეს. სროლის დამთავრების შემდეგ, ჯგუფმა ორი ცეცხლ-გამჩენი ხელყუმბარა გაისროლა (ამის გამო სახლში ხანძარი გაჩნდა, მაგრამ ლევ ტროცკიმ და მისმა ცოლმა ცეცხლის ჩაქრობა მოახერხეს) და ტროცკის საძინებელთან ძლიერი ცეცხლგამჩენი ბომბი დატოვეს, რომელიც ტექნიკური გაუმართაობის გამო ვეღარ ამოქმედდა. ტროცკი და მისი ცოლი თავდასხმას გადაურჩნენ (ორივე საწოლის ქვეშ დაიმალა). თავდამსხმელებთან ერთად გაქრა ტროცკის დაცვის ერთ-ერთი წევრი - ზემოთ აღნიშნული რობერტ შელდონ ჰარტი, მეტსახელად «ამური». იგი ნამდვილად იყო შსსკ-ის აგენტი, მისი გადაბირება ნიუ-იორკში მოხერხდა. მამამისის სიტყვებით, შელდონ ჰარტს არასოდეს ეხატებოდა გულზე ტროცკისტები, პირიქით, იგი სტალინს ემხრობოდა. შელდონ ჰარტი იყო აშშ-ის კომუნისტური პარტიის წევრი და მის ნიუ-იორკის ბინაში იპოვეს სტალინის დიდი პორტრეტი. ასევე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, იპოვეს ესპანურ-ინგლისური ლექსიკონი სიკეიროსის ხელმოწერით. მაგრამ ტროცკი ბოლომდე მიიჩნევდა, რომ რობერტ შელდონ ჰარტი თავდასხმის მსხვერპლია და არა თავდასხმის მონაწილე. ერთი თვის შემდეგ კი, 25 ივნისს ჰარტის გვამი იმ სახლის ეზოში აღმოაჩინეს, რომელიც სიკეიროსის ჯგუფმა გააქირავა. მას ტყვია კეფაში ჰქონდა მოხვედრილი. პაველ სუდოპლატოვის თქმით, შელდონ ჰარტი იმიტომ მოკლეს, რომ გრიგულევიჩსა და მას ჩვენი გაცემა შეეძლოთო.
ასე უშედეგოდ დასრულდა ტროცკის მკვლელობის პირველი ცდა. ასეთ ვითარებაში ეიტინგტონმა აამოქმედა მეორე ჯგუფი, «დედა», რომლის ხელმძღვანელი იყო კარიდად მერკადერი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯგუფის წევრთა შორის იყო მისი შვილი, რამონ მერკადერი. საინტერესოა, რომ მისი შეყვანა ტროცკის გარემოცვაში მოხერხდა ჯერ კიდევ 1938 წელს. იქ გაიცნო სილვია აგელოფი, რუთ აგელოფის და, რომელიც ტროცკის სამდივნოში მუშაობდა. «ლეგენდის» მიხედვით, რამონი იყო მდიდარი ბიზნესმენი, სახელად ჟან მორნარი და მემარცხენე მოძრაობით ინტერესდებოდა მხოლოდ და მხოლოდ თავისი ექსცენტრიკული ხასიათის გამო. იგი ძალიან მოეწონა სილვია აგელოფს, ლაპარაკი იყო ქორწილზეც, მაგრამ მერკადერი აღარ ჩქარობდა. მექსიკაში რამონ მერკადერი მხოლოდ 1940 წლის მარტში აღმოჩნდა, როცა სილვია აგელოფმა ტროცკის სამდივნოში მუშაობა დაიწყო. მერკადერმა შეძლო ტროცკის გარემოცვის ნდობის მოპოვება, თუმცა ტროცკის სიცოცხლის ბოლო დღეებში ერთგვარი ეჭვი გაუჩნდა მერკადერისადმი. მაგალითად, ე.წ. ლეგენდის მიხედვით, რამონ მერკადერი ბელგიელი იყო და შესაბამისად, ფრანგული ენა კარგად უნდა სცოდნოდა. მერკადერი ფრანგულად კარგად ლაპა-

რაკობდა, მაგრამ მისი ენა სავსე იყო ესპანიზმებით. ტროცკი ამბობდა, რომ «უკეთესი იქნებოდა, სილვიას ქმარს ჩვენს სახლში მოსვლა შეეწყვიტა» და მეტიც, «ჩვენ პატარა გამოძიება უნდა მოვაწყოთ». საინტერესოა, რომ ტროცკის მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ მეხიკოში ესპანური პროტროცკისტული პარტიის ერთ-ერთი წევრი ჩამოვიდა, რომელსაც შეეძლო მერკადერი გაეშიფრა.

მერკადერის თავდასხმა წარმატებით დასრულდა. ტროცკი დაიღუპა, მაგრამ რამონ მერკადერი აიყვანეს და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესზე, დაკითხვებზე, მერკადერი მოქმედებდა თავისი ლეგენდის შესაბამისად: იგი არის ჟან მორნარი, ბელგიის მოქალაქე და მან მოკლა ტროცკი პირადი მოტივის გამო. მართალია, ბელგიის კონსულმა უარყო, რომ მერკადერი ბელგიის მოქალაქეა, მაგრამ მექსიკურმა პოლიციამ მისი ნამდვილი ვინაობის დადგენა ვეღარ მოახერხა. მხოლოდ ომის შემდეგ, ესპანური არქივებიდან გახდა ნათელი, რომ ჟან მორნარი - რამონ მერკადერია. მაგრამ ამის შემდეგაც ის ამტკიცებდა, რომ ლევ ტროცკი პირადი მოტივის გამო მოკლა. რამონ მერკადერი გაათავისუფლეს 1960 წელს 20 აგვისტოს. ის გადავიდა მოსკოვში საცხოვრებლად და საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიიღო. 1970 წელს ჩავიდა კუბაში ფიდელ კასტროს მიწვევით (იმ პერიოდში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში მრჩევლად). რამონ მერკადერი 1978 წელს გარდაიცვალა.

ტროცკის გარდაცვალების შემდეგ პროტროცკისტულმა პარტიებმა ნელ-ნელა დაკარგეს გავლენა და ტროცკიზმი საინტერესო დარჩა მხოლოდ მეცნიერებისთვის. ტროცკის წვლილი შეჰქონდა მარქსიზმის პოპულარობასა და გავრცელებაში და ახალი მიმართულებაც დააფუძნა ამ სწავლებაში, რომელიც მისი სახელით არის ცნობილი - ტროცკიზმი.

(ავტორი: გიორგი ცომაია)

ჟურნალი "ისტორიანი", 2012 წლის სექტემბერის ნომერი (#9/21)

დახვრეტილი ინტელიგენცია

აბსურდული ბრალდებებითა და კურიოზული ჩვენებებით შეკერილი საქმეები

1937 წლის რეპრესიაზე დღემდე ბევრს საუბრობენ და მომავალშიც ალბათ ბევრს იმსჯელებენ. ზოგი რეპრესირებულთა რაოდენობას ციფრებით ითვლის, ზოგი – ტანჯვის ხარისხით, ზოგიც ცდილობს განსაზ-

ღვროს ის სამყარო, რომელიც სამშობლოს შეწირულ ადამიანებს უნდა შეექმნათ და დანაკარგზე ჩივის. და მაინც, ბოლომდე განუსაზღვრელი დარჩება იმ დანაშაულის მასშტაბი, რომელიც 37 წლის რეპრესიების შემდეგ ქართულ ისტორიაში "ჩაკლული სულის" სახელით დარჩა – ამის საზომი ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს სცილდება.

"არა მხოლოდ ელვარე ნიჭის გამო, მე პაოლო იაშვილი იმ საბედისწერო გასროლისთვის მიყვარს, რადგან მისი ორლულიანი თოფიდან გამოვარდნილმა ცეცხლმა სიცოცხლეს აზრი მისცა, ღირსება შემატა და ჩვენ, მომდევნო თაობებსაც შეგვიტრუსა წამწამები, არ მოგვასვენა და ჩვენს არჩევანზე, ამ სოფლად ადამიანად ყოფნის, ადამიანად დარჩენის უძნელეს აუცილებლობაზე დაგვაფიქრა," – წლების მერე დაწერა მწერალმა გურამ ასათიანმა.

"მე უდანაშაულო ვარ! ქართველი ხალხისა და ჩემი სამშობლოს წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაგრამ, რადგან ზვარაკია საჭირო, მზად ვარ საქართველოს თავი შევწირო, თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასოდეს წაშლით, რაც დავტოვე. საქართველოს მიწა-წყალზე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს ვერასოდეს აღმოფხვრით," – ეს სიტყვები მიხეილ ჯავახიშვილმა განაჩენის გამოტანის შემდეგ წარმოთქვა, რითაც საბჭოთა რეპრესიებს შეწირულ ქართველ მოღვაწეთა სათქმელიც თქვა.

მწერლობა, მხატვრობა, თეატრი ერთადერთი საბრძოლო ასპარეზი იყო, სადაც ქართველი მოღვაწეები თავიანთ სათქმელს ამბობდნენ, ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლების დარტყმის ობიექტი სწორედ ეს სფეროები გახდა.

ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი განადგურება საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იყო. ქართველ მამულიშვილთა უდიდესი ნაწილი ვერ ეგუებოდა საბჭოთა პოლიტიკას, ხოლო საბჭოთა მმართველობა მათი ეროვნული სულისა და აზრის განადგურებას მიიჩნევდა უმთავრესად მიზნად. ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებმა შეიწირა პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, სანდრო ახმეტელის, ნიკოლო მიწიშვილისა და სხვა გამორჩეულ მოღვაწეთა სიცოცხლე. მათი "აღიარებითი" ჩვენებები თავმოყრილია დოკუმენტში, რომელიც შინაგან საქმეთა საარქივო სამმართველოში ინახება და რომელიც შსს-ს "საარქივო მოამბეში" პირველად გამოქვეყნდა. - დოკუმენტს, საბჭოთა ხელისუფლების ანგარიშს, რომელშიც მოთხრობილია ქართული ინტელიგენციის "მავნებლური", "შპიონური", "აგენტურული", "კონტრრევოლუციური" საქმიანობის თაობაზე. დოკუ-

მენტში საუბარია სხვადასხვა სფეროში ფეხმოკიდებულ საბჭოეთის მტრების "მავნებლურ" ქმედებებზეც. ანგარიშს დართული აქვს "ქვეყნის მტრების" – ერის გამორჩეული შვილების ჩვენებები, რომლებიც მათ იძულებით ან გააზრებულად მისცეს საბჭოთა გამომძიებლებს. გააზრებულად, რადგან საბჭოთა გამოძიების აბსურდული ბრალდებები უფრო მეტად კურიოზულად ექციათ.

თუმცა, უკვე დღეს ყველასთვის ნათელია, როგორი სასტიკი წამების შემდეგ უხდებოდა ინტელიგენციის გამორჩეულ ნაწილს აღიარებითი ჩვენების მიცემა, რომელიც სიმართლის ნატამალსაც არ შეიცავდა.

ხსენებულ ანგარიშში ჩადებულ "აღიარებით" ჩვენებებში წერია, რომ ლიტერატურული ჯგუფები და გაერთიანებები, მათ შორის, "ცისფერყანწელები", ქართული მწერლობისა და პოეზიის განვითარებას კი არ ემსახურებოდნენ, არამედ "ფაშისტური და კონტრრევოლუციური ორგანიზაციები" ყოფილან.

"მწერლებს შორის არსებობდა ფაშისტური ორგანიზაცია, რომელსაც დაპატიმრებული დავით წერეთელი (ქართველ მწერალთა ლიტფონდის დირექტორის მოადგილე) ხელმძღვანელობდა და რომელსაც თავად დავით წერეთელი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ასე ახასიათებს: "ეს ორგანიზაცია შედგება ფაშისტური ელემენტებისგან და მკვეთრად დაპირისპირებულია საბჭოთა ხელისუფლებასთან. ის ეწევა აქტიურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და შესაფერის მომენტში მზადაა უკიდურესი მოქმედებისთვის. ორგანიზაციის პლატფორმა საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და გერმანიის მფარველობის ქვეშ დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. ამ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში შედიან მწერლები – მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, პაოლო იაშვილი, არჩილ მიქაძე, დავით წერეთელი..." – ანგარიშის მიხედვით, რუსთაველის თეატრი კონტრრევოლუციონერთა ბუდე და თავშესაფარი იყო.

"რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორის სანდრო ახმეტელის მიერ შექმნილი ფაშისტურ-ტერორისტული ორგანიზაცია ძირითადად რუსთაველის თეატრის მსახიობებისგან შედგებოდა", ხოლო მწერლები – პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, დავით წერეთელი გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და პოლონეთის აგენტები, დივერსანტები, სამშობლოს მტრები და მავნებლები იყვნენ.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეროვნულობა და პატრიოტიზმი ყველაზე დიდ, უპატიებელ დანაშაულად ითვლებოდა, რომელსაც "წითელმა ხელისუფლებამ" სასტიკი ომი გამოუცხადა.

შსს-ს საარქივო სამმართველოში დაცულ საქმეში მოთხრობილია საბჭოთა კავშირის წინსვლასა და წარმატებებზე, მაგრამ ამავე დროს იმ ადამიანთა აგენტურულ-დივერსიულ და მოღალატეობრივ საქმიანობაზე, რომელიც ცდილობდა, ძირი გამოეთხარა საბჭოთა მმართველობისთვის.

“კაპიტალისტური ქვეყნები დივერსიული ქმედებებით ცდილობენ საბჭოთა კავშირის სიძლიერის შერყევას. უცხოური ქვეყნების აგენტურამ თითქმის ყველა სფერო და ორგანიზაცია მოიცვა. აგენტურამ არა მხოლოდ ქვედა რგოლებში შეაღწია, არამედ შპიონები და აგენტები არიან საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზეც. ქვეყნის მოღალატეები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ შპიონაჟით, დივერსიით, ტერორიზმით, ფაშისტური ქვეყნების დახმარებით ზიანი მიაყენონ საბჭოთა კავშირს. მათი მიზანია საქართველოს საბჭოთა კავშირისგან მოწყვეტა. საქართველოს მტრებმა იდეოლოგიური ფრონტიც გამოიყენეს და ცდილობენ, გავლენის ქვეშ მოაქციონ ინტელიგენცია”.

შსს-ს საარქივო სამმართველოს არქივში დაცული საქმის მიხედვით, ერთ-ერთ ასეთ მავნებლად და დივერსანტად გამოცხადდა მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ჯერ დააპატიმრეს, სასტიკი წამების შედეგად კი მისი “აღიარებით ჩვენება” მიიღეს და დახვრიტეს. “ჩვენ გადანაწილებული გვქონდა როლები, მე ვხელმძღვანელობდი ფინანსებს, გ. ქიქოძეს ევალებოდა კავშირის დამყარება სხვადასხვა ანტისაბჭოურ ორგანიზაციებთან და ჯგუფებთან. უცხოელებთან მოლაპარაკებების წარმოება თავის თავზე აღებული ჰქონდა პაოლო იაშვილს, ხოლო საორგანიზაციო საქმეების მოგვარება მოსაშვილს ევალებოდა... საბოლოო ჯამში, იტალიური ფაშიზმის პროგრამა მივიღეთ, რომელიც ქართული რეალობისთვის უნდა მოგვერგო. ჩვენ გადავწყვიტეთ, ყველა მაზრასა და დიდ ცენტრში გვყოლოდა თითო წარმომადგენელი, რომელიც თავისთავად სამეულის შემადგენელი იქნებოდა,” – სასტიკი წამების შემდეგ აი, ასეთი აბსურდული ჩვენება მისცა საბჭოთა გამოძიებას მიხეილ ჯავახიშვილმა, რომელიც იმდროინდელ მწერალთა შორის არსებული ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელად მოინათლა.

შსს-ს არქივში არსებული დოკუმენტების მიხედვით, მიხეილ ჯავახიშვილს კავშირი ჰქონდა სხვადასხვა ანტისაბჭოური პარტიების წარმომადგენლებთან – სოციალ-ფედერალისტ მესხიშვილსა და მენშევიკ ნინიძესთან.

“გადაწყვეტილი იყო, შეგვექმნა ინტერპარტიული ბლოკი და შემდეგზე შევთანხმდით: 1) ყოველმხრივ შევმზადებულიყავით აჯანყებისთვის, 2) არ დაგვეშვა იზოლირებული აჯანყებები საქართველოში, 3) ჩა-

მოგვეყალიბებინა ბლოკი, რომელიც სამი პარტიისგან იქნებოდა შემდგარი, 4) ყოველი პარტია შეინარჩუნებდა თავის სახეს, 5) ბლოკს უნდა გაეძლიერებინა თავის შემადგენლობა, 6) დიდ ცენტრებში შეიქმნებოდა ასეთივე სამეულები. მწერალთა ფაშისტური ორგანიზაცია დაუკავშირდებოდა საომარ ცენტრს და კონსულტაციებს გაივლიდა პოლონურ, გერმანულ და იტალიურ ცენტრებთან," – აღიარებით ჩვენებაში მიხეილ ჯავახიშვილმა სამოქმედო გეგმაც "გათქვა".

სწორედ პოლონეთის, გერმანიისა და იტალიის ქვეყნების აგენტად და ჯაშუშად გამოცხადდა მიხეილ ჯავახიშვილი, რომელმაც საბჭოთა ჯალათებს მსგავსი შინაარსის და უფრო მეტად მძაფრი აბსურდული ჩვენებები დაუწერა, სადაც მიხეილ ჯავახიშვილი ზედმიწევნით დეტალურად ყვება თავის შპიონურ კავშირებზე პოლონეთის, გერმანიის, იტალიის კონსულებთან და აღიარებითი ჩვენებაც ასე იწყება: "მე მივედი ყველაზე საშინელ აღიარებამდე... პაოლო იაშვილს ვთხოვე, დავეკავშირებინე პოლონეთის კონსულთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირადად ვეწვეოდი კონსულს, რაც საკმაოდ სახიფათო იყო. რამდენიმე დღეში მესტუმრა უცნობი პიროვნება, რომელმაც მითხრა, რომ პოლონეთის კონსულის თანაშემწე იყო," – პლენუმისთვის გაგზავნილ ანგარიშს მიხეილ ჯავახიშვილის ჩვენების ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული.

აღსანიშნავია, რომ შსს-ში არსებული მასალებით, პოლონეთის კონსულის თხოვნით, მიხეილ ჯავახიშვილმა წერილი მისწერა თავის ნაცნობ პოლკოვნიკ ლ. გარსევანიშვილს. თავის მხრივ, პოლონეთის კონსულს ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა მისთვის საზღვარგარეთ არსებული მდგომარეობის შესახებ და ჯავახიშვილი დაეკავშირებინა საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენლებთან. ამავე აბსურდული ჩვენებებით, მიხეილ ჯავახიშვილმა ასევე პაოლო იაშვილს სთხოვა, შეეხვედრებინა გერმანიისა და იტალიის კონსულებთან.

"რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა პაოლო იაშვილი. მაგიდაზე ფურცლების რამდენიმე შეკვრა დამიდო და მითხრა, შუაღამით გერმანიის კონსული გელოდებაო, რომლისთვისაც ფურცლების ერთი შეკვრა უნდა გადამეცა, ხოლო მეორე და მესამე შეკვრა იტალიისა და პოლონეთის კონსულებისთვის... დათქმულ დროს დავურეკე გერმანიის კონსულს და შეხვედრაზე მივედი. მასთან იყო იტალიის კონსულიც. გერმანიის კონსულმა მითხრა, რომ ერთმანეთისგან არაფერი გვაქვს დასამალიო, თითით იტალიის კონსულზე მანიშნა და დააყოლა, თან ჩვენ უკვე მეგობრები ვართო. ამ ქაღალდების სანაცვლოდ მე 6000 რუბლი გადმომცეს," – ასეთი შინაარსისა იყო დიდი მწერლის აბსურდული ჩვენებები.

არადა, “ჩეკამ” მიხეილ ჯავახიშვილისგან სასურველი ჩვენება მიიღო და მწერალი და საზოგადო მოღვაწე დახვრიტეს. თუმცა მანამდე ერთ-ერთი პირველი, ვინც რეპრესიებმა შეიწირა, პაოლო იაშვილი იყო. ჯაშუშად, აგენტად, კონტრრევოლუციონერად და ტერორისტად მონათლულმა პოეტმა პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა. ამ ფაქტმა შეძრა ქართული ინტელიგენცია.

“ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, ყველას გვაჯობა!” – ეს სიტყვები მიხეილ ჯავახიშვილს ეკუთვნის.

პაოლო იაშვილიც ისეთივე “ერის მოღალატე”, “აგენტი” და “შპიონი” იყო, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი და დანარჩენები. თუმცა ქართული ინტელიგენციის “აღიარებით” ჩვენებებში ის ერთ-ერთ წარჩინებულ მზვერავად და “დამვერბოვკებლად” ცხადდებოდა.

“პაოლო იაშვილი თავად “ავერბოვკებდა” ხალხს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის და ნაციონალისტურ ჯგუფებში საუკეთესო ორგანიზატორად ითვლებოდა. ის იყო საფრანგეთის, პოლონეთის, იტალიისა და გერმანიის შპიონი, აგენტი და ქვეყნის მოღალატე,” – წერია შსს-ს არქივში არსებულ დოკუმენტებში.

ვერც “ცისფერყანწელთა” წევრი ნიკოლო მიწიშვილი გადაურჩა “წითელ ხელისუფლებას”. დანარჩენების მსგავსად, არც მას აპატიეს სამშობლოს სიყვარული და საზღვარგარეთ გატარებული წლები. ისიც აგენტად და ჯაშუშად შეირაცხა და საბჭოთა ჯალათებს ჩაუვარდა ხელში. მიწიშვილი 1937 წელს დახვრიტეს.

“ნიკოლო მიწიშვილი 1918-1922 წლებში იყო გაერთიანება “ცისფერყანწელების” წევრი, რომელიც იმ პერიოდში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ გახლდათ განწყობილი. 1922 წელს მიწიშვილი საზღვარგარეთ მიემგზავრება და ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენლებს – ჟორდანიას, ვეშაპელს, ქარუმაძეს ხვდება. ნიკოლო მიწიშვილი ქარუმაძის საშუალებით ფრანგულ დაზვერვასთან, ხოლო არჩილ მიქაძის ხაზით გერმანულ დაზვერვასთან იყო დაკავშირებული,” – ასეა აღწერილი პლენუმის ანგარიშში მიწიშვილის საქმიანობა.

1925 წელს საბჭოთა ხელისფლებამ ნიკოლოზ მიწიშვილი დააპატიმრა და გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში დააწერინა, რომ ქართული ლიტერატურული გაერთიანება, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იყო, ფაშისტურ ორგანიზაციად გარდაიქმნა.

“საქართველოში დაბრუნების შემდეგ მე დავუკავშირდი ნაციონალისტურად განწყობილ მწერლებს, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილის გარშემო, ასევე დავუკავშირდი ქართველ ლიტე-

რატორებს, “ცისფერყანწელებს”: პაოლო იაშვილსა და სხვებს. ეს ნაციონალისტ-ლიტერატორთა გაერთიანება საბოლოო ჯამში არალეგალურ ფაშისტურ ორგანიზაციად გარდაიქმნა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც ბოლო დღემდე მე ვიყავი. ჩვენი მიზანი საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბება იყო. აქედან გამომდინარე, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები ლიტერატურულ საქმიანობაში ნაციონალისტური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ,” – წერია ნიკოლო მიწიშვილის ჩვენებაში.

ნაციონალისტური იდეების პროპაგანდა არ აპატიეს რეჟისორ სანდრო ახმეტელსაც, რომელიც ცდილობდა თავისი ეროვნული იდეები, მხატვრულად შენიღბული მიეტანა მაყურებლამდე. იმ პერიოდში რუსთაველის თეატრში დაიდგა ეროვნული იდეებით გაჟღენთილი პიესები. 1913 წელს თეატრში დაიდგა შალვა დადიანის “თეთნულდი”, რომელსაც საფუძვლად ედო თავისუფალი საქართველოსთვის ბრძოლის იდეა.

ამავე პერიოდში სანდრო ახმეტელის დახმარებით კონსტანტინე გამსახურდია ცდილობდა, თავისი პიესის სცენაზე გატანას, რომლის იდეის საფუძველი ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი იყო. აკაკი ვასაძემ რუსთაველის თეატრში დადგა პიესა “შლეგები”, რომელიც იმავე იდეის მატარებელი იყო. თეატრის ხელმძღვანელს ასეთი თამამი, ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაბიჯები არავინ აპატია და ისიც კონტრრევოლუციონერთა რიგებში ჩაიწერა.

პლენუმის ანგარიშის მიხედვით, სანდრო ახმეტელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში ფაშისტურ-ტერორისტული ორგანიზაცია ჰქონდა ჩამოყალიბებული, რომლის წევრები მსახიობები იყვნენ.

“ცენტრის მუშაობა შემდგომში მდგომარეობდა: ნაციონალისტური იდეების პროპაგანდით ხალხის “დავერბოვკება” უნდა მოგვეხდინა. ცენტრი შედგებოდა რუსთაველის თეატრის წარმომადგენლების, მწერალთა ორგანიზაციის, მხატვართა, პროფესორთა, სტუდენტთა გაერთიანებისგან. ცენტრის თითოეული წევრი აწარმოებდა კონტრრევოლუციურ საქმიანობას იმ სფეროში, რომელსაც თავად ეკუთვნოდა. მაგალითად, ნაციონალისტურ და კონტრრევოლუციურ საქმიანობას ვხელმძღვანელობდი მე”, – განაცხადა თავის ჩვენებაში სანდრო ახმეტელმა და, სხვების მსგავსად, ისიც ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა – სასტიკად ნაწამები სანდრო ახმეტელიც დახვრიტეს, როგორც “ხალხის მტერი”.

http://24saati.ge/index.php/category/news/justice/2010-01-23/2906.html

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის დღე

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის დღე ყოველი წლის 30 ოქტომბერს აღინიშნება რუსეთში. იხილეთ საარქივო კადრები, თუ როგორ დაიბადა, განვითარდა და რა გამოიწვია სსრკ–ში "სამშობლოს მტრების ძიებამ".

30 ოქტომბერს რუსეთში პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა დღე აღინიშნება. რიცხვი ამოირჩიეს იმ შიმშილობის სამახსოვროდ, რომელიც 1974 წლის 30 ოქტომბერს მორდოვის და პერმის ბანაკების ტყვეებმა დაიწყეს. პოლიტპატიმრებმა შიმშილობა სსრკ–ში არსებული პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაიწყეს.

ოფიციალურად ეს დღე დაწესდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 18 ოქტომბრის "პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის დღის დაწესების" დადგენილებით.

"პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის შესახებ" არსებული კანონის მიხედვით, პოლიტიკურ რეპრესიებად აღიარებულია იძულების სხვადასხვა ზომები, რომლებიც პოლიტიკურ მოტივებზე მიიღო სახელმწიფომ, თავისუფლების აღკვეთა ან სიცოცხლის მოსპობა, ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებებში სამკურნალოდ იძულებითი მოთავსება, ქვეყნიდან გაძევება და მოქალაქეობის ჩამორთმევა, თემის გაძევება საცხოვრებელი ტერიტორიიდან, გადასახლება, სპეცდასახლებაში გადასახლება, იძულებითი შრომა თავისუფების შეზღუდვის პირობებში, ასევე უფლებებისა და თავისუფლების სხვა სახით აღკვეთა.

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის დღეს იგონებენ მილიონობით ადამიანს, რომლებიც უმიზეზოდ შეეწირნენ რეპრესიებს, წარგზავნეს გამოსასწორებელ–შრომით ბანაკებში, გადასახლებაში, მოუსპეს სიცოცხლე სტალინის ტერორისა წლებში და მის შემდეგ.

რეპრესიებმა პიკს 1937–1938 წლებში მიაღწია, როდესაც, ოფიციალური მონაცემებით, პოლიტიკური ბრალდებებით 1,5 მილიონზე მეტი ადამიანი დააკავეს, 1,3 მილიონი არასასამართლო ორგანოებმა გაასამართლეს, დაახლოებით 700 ათასი კი – დახვრიტეს. საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში დაინერგა ცნება "სამშობლოს მტერი". პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით 1937 წლის 5 ივლისიდან "სამშობლოს მოღალატეების" ცოლებს 5–8 წლით აპატიმრებდნენ ბანაკებში. "სამშობლოს მოღალატეების" შვილებს ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბანა-

კებში აგზავნიდნენ, ან განსაკუთრებული რეჟიმის ბავშვთა სახლებში ან-
თავსებდნენ.

Read more: https://sputnik-georgia.com/video/20151030/228946286.html